

# ნატოს ეფექტი

ახალი წევრი ქვეყნების  
ეკონომიკურ განვითარებაზე  
და მოსალოდნელი შედეგები  
საქართველოსთვის



დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში





# ნატოს ეფექტი

ახალი წევრი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე  
და მოსალოდნელი შედეგები საქართველოსთვის

თბილისი, 2016

# სარჩევი

პროექტის შესახებ .....	1
შესავალი .....	2
მაგალითი საქართველოსთვის .....	4
„ნატოს ეფექტი“ .....	7
განათლება.....	13
დასაქმება.....	20
ჯანდაცვა .....	22
რეგიონული ინტეგრაცია .....	25
ინსტიტუტები .....	29
დასკვნა.....	35

## ავტორები:

ბათუ ქუთელია

ნინო ევგენიძე

ირინა გურული

მურთაზ (მუთო) ხურცილავა (სტაჟიორი ლონდონის ჰოლოუის სამეფო უნივერსიტეტიდან)



## პროექტის შესახებ

წინამდებარე ნაშრომი მეორე ანალიტიკური დოკუმენტია „ეკონომიკური ნატოს“ პროექტის პუბლიკაციათა სერიაში. ნაშრომი მომზადდა „საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე საგრანტო პროგრამის ფინანსური დახმარებით.

პროექტის მიზანია (1) პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის კვალიფიციური ანალიზისა და პროგნოზის მომზადება იმის თაობაზე, თუ რა ეკონომიკურ ზეგავლენას მოახდენს საქართველოზე ნატოში გაწევრიანება; (2) საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საჯარო სივრცეში მიმდინარე დისკუსიების თვისობრივი გაუმჯობესება კვალიფიციური ეკონომიკური ანალიზის გზით; (3) წამყვანი მოთამაშეების - პოლიტიკის შემმუშავებლების, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება საქართველოს ნატოში გაწევრიანების ეკონომიკური სარგებლის თაობაზე.

## შესავალი

დინამიურად ცვალებადი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი ახალგაზრდა ევროპულ დემოკრატიებს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის რთული პრობლემების წინაშე აყენებს. გარემოებების ასეთი ცვალებადობა ხაზს უსვამს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების გაძლიერების მნიშვნელობას, რადგან ეს ის უმთავრესი გამოწვევებია, რომელთა დაძლევა აუცილებელია არსებული და პოტენციური გარე ფაქტორების ზეგავლენის მინიმუმამდე დასაყვანად.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ქვეყნის უნარზე, უზრუნველყოს გრძელვადიანი უსაფრთხოება და სტაბილურობა, ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნარატივების და ჩარჩოს შექმნით, რაც ერთის მხრივ ქმნის საჭირო პირობებს ეკონომიკური აგენტების ხელსაყრელი თანამშრომლობისთვის და მეორე მხრივ, ხელს უწყობს ქვეყნის ინტეგრირებას რეგიონულ და საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვებში.

მართალია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და კეთილდღეობა არ წარმოადგენს ნატო-ს ძირითად მიზანს, მაგრამ მისი ფუნქცია - უსაფრთხოების გარანტია, უზრუნველყოფს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური ასპექტია, რადგან საკმარისი ეკონომიკური საშუალებების გარეშე სახელმწიფო ვერ შეძლებს, განახორციელოს პირდაპირი ან ირიბი ზეწოლა გლობალურ დონეზე მიმდინარე მოვლენებზე. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარება პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის უნარს, ხელი შეუწყოს საერთაშორისო სამხედრო ძალის არსებობას გლობალური უსაფრთხოების მიმართულებით არსებული გამოწვევების გადასაღებად.

ნატოსთან დაახლოების და საბოლოოდ მასში გაწევრიანების პროცესი, უსაფრთხოების გარანტიების გარდა, ხელს უწყობს და აუმჯობესებს ეკონომიკის ინსტიტუციურ ჩარჩოს, კანონის უზენაესობას, მმართველობის ეფექტურ სისტემებს, კორპორატიულ უსაფრთხოებას, გაურკვევლობის და გარე ეფექტების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს

სტაბილურობას, ამცირებს პოლიტიკურ რისკს, ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ვაჭრობას. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალიზაცია და საბაზრო პრინციპებზე გადაყვანა ამცირებს სოციალურ ზენოლას, უზრუნველყოფს კეთილდღეობის ამაღლებას და სიმდიდრის დაგროვებას. შედეგად, საზოგადოება ხდება მეტად დაცული და ნაკლებად მოწყვლადი სხვადასხვა სახის გარე და შიდა შოკების მიმართ.

ასეთი ეკონომიკური, პოლიტიკური და იურიდიული ჩარჩოს პირობებში, იზრდება სახელმწიფოს პოტენციალი, გარდაიქმნას ადგილობრივი და იზოლირებული ეკონომიკიდან უფრო ღია ეკონომიკად, რასაც მოაქვს კონკურენტული და ფარდობითი უპირატესობები რესურსების უფრო ეფექტური განაწილების, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ანუ, უფრო ლიბერალური და უსაფრთხო გარემოს შექმნის გზით. ასეთი გარემო მეტი ოპტიმიზმის საფუძველს ქმნის, რომ უზრუნველყოფილი იქნება სწორი ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეტი ინოვაციების დანერგვას და მეწარმეობის განვითარებას ეკონომიკაში.

ამრიგად, სამხედრო უსაფრთხოების გაძლიერებასა და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას შორის უნდა არსებობდეს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც უსაფრთხოების და ეკონომიკის სფეროებზე თანამშრომლობას დაემყარება.

ნატოს გაფართოების საკითხი მხოლოდ თავდაცვის მნიშვნელობის ცნებას არ ეფუძნება. ეკონომიკური თანამშრომლობა მკაფიოდ არის ნახსენები ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-2 მუხლში:

„მხარეები ხელს შეუწყობენ მეგობრული და მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერებით, ამ ინსტიტუტების საბაზისო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებითა და სტაბილურობისა და კეთილდღეობის განმტკიცების ხელშეწყობით. მხარეები მიისწრაფვიან, აღმოფხვრან წინააღობები თავიანთ საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობას“.

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრობა ორიენტირებულია ალიანსის წევრი ქვეყნებისა და პარტნიორების კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, თვალნათელია ნატოს მოკავშირეებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტიც. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტი კარგად ჩანს იმ ქვეყნებში, სადაც მიღებულია გადაწყვეტილება ნატოში გაწევრიანების შესახებ და მიმდინარეობს ყოვლისმომცველი რეფორმების განხორციელების პროცესი მოკავშირეებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თავსებადობის მისაღწევად.

წმინდა სამხედრო და პოლიტიკური განზომილებების გარდა, ნატოში ინტეგრაციას სხვა დამატებითი განზომილებებიც აქვს. ამის მარტივად დანახვა შესაძლებელია ნატოს კომიტეტების, სამუშაო ჯგუფებისა თუ უწყებების სხვადასხვა დასახელებებში: ეკონომიკური კომიტეტი, ევროპული საჰაერო სივრცის კოორდინირების კომიტეტი, მეცნიერების კომიტეტი, თანამედროვე საზოგადოების გამოწვევების კომიტეტი, გადაუდებელი სიტუაციების დაგეგმვის მთავარი კომიტეტი, ინფორმაციისა და კულტურული ურთიერთობების კომიტეტი და სხვა. ძირითადი ინფრასტრუქტურის განსავითარებლად არსებობს ნატოს უსაფრთხოების საინვესტიციო პროგრამა, რომელიც სხვა სპეციალურ პროგრამებთან ერთად, ხელს უწყობს ნაკლებგანვითარებულ წევრ ქვეყნების სათანადო მზადყოფნას.

ზემოთ აღნიშნული ასოცირებული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე ნატოს წევრობის ძირითადი პოზიტიური ეფექტი შეიძლება შეფასდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და უსაფრთხო და დაცული ბიზნესკლიმატის თვალსაზრისით.

თუმცა, არსებობს სხვა სფეროებიც, საიდანაც ნატოს წევრობით სარგებლის მიღება შეიძლება, რადგან ისინიც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სტაბილურობასთან, ასევე სახელმწიფოებრიობის წარმატებული მშენებლობისთვის ინსტიტუციური ჩარჩოების შექმნასთან. ეს პროცესი ნატოში გაწევრიანების გადაწყვეტილების გაცხადების ადრეული ეტაპიდან იწყება და დაახლოების პროცესის პარალელურად მიმდინარეობს, საბოლოო გაწევრიანებამდე უფრო მყარ ჩარჩოდ ფორმირდება და გაწევრიანების შემდეგაც გრძელდება.



## მაგალითი საქართველოსთვის

ყველასათვის ცნობილია, რომ უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარება და ბაზრის ლიბერალიზაცია, რომ არაფერი ვთქვათ შეუქცევად დემოკრატიულ ტრანსფორმაციაზე. განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყანაში, რომელიც საბჭოთა ტოტალიტარული სისტემიდან გამოვიდა და დემოკრატიის მშენებლობის პროცესში იმყოფება, მიუხედავად ჰიბრიდული ხასიათის გარე ზეწოლებისა, რომლებიც უმთავრესად ქვეყნის გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გამო ჩნდება.

ისეთი ზეწოლების პირობებში, როგორც არის რუსული აგრესიის მზარდი რისკი, ძალადობრივი ექსტრემიზმი ახლო აღმოსავლეთში, კიბერტერორიზმი და ენერგომატარებლების სიმცირე, საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად გამოიყენონ ევროპასთან ასოცირების პოტენციური სიკეთეები თავისუფალი ვაჭრობის და უვიზო მიმოსვლის სახით და საბაზისო უსაფრთხოების ჩარჩოს უზრუნველყოფის მეშვეობით, რომელიც ნატოს წევრობის გზით მიიღწევა.

სწორედ ამიტომ არის ევროატლანტიკური ინტეგრაცია - ევროკავშირის და ნატოს წევრობა - საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული პრიორიტეტი. წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია ქვეყნის სხვადასხვა სეგმენტზე ეგრეთწოდებული „ნატოს ეფექტის“ ჩვენება და ამ ეფექტის გავლენა იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს „უმნიშვნელოვანეს ეროვნულ პრობლემებს“ წარმოადგენს.

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ბოლოდროინდელი გამოკითხვის (CRRC-საქართველო, 2016)<sup>1</sup> თანახმად, საქართველოში ყველაზე მწვავე ეროვნული პრობლემებია დასაქმება, სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა, პენსიები, ფასების/ინფლაციის ზრდა, ხელმისაწვდომი

---

<sup>1</sup> საზოგადოებრივი განწყობები საქართველოში. 2016 წლის მარტის გამოკითხვის შედეგები. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI).

ჯანდაცვა, ხელფასები, ადამიანის უფლებები და განათლება. გარდა ამისა, გამოკითხვამ გამოავლინა საქართველოს მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მიმართ, სადაც ყველაზე დიდი პრობლემა ეკონომიკური გამოწვევებია, რომელთა წინაშეც თითოეული ოჯახი დგას. რესპონდენტთა 42%-ის თქმით, 2012 წლის არჩევნებამდელ პერიოდთან შედარებით, მათი მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო მათგან 81% ამ პრობლემებს არსებული ხელისუფლების ქმედებებს აბრალებს.

მიუხედავად 2.8%-იანი ზრდისა, რომელიც განვითარებადი ქვეყნების სტანდარტების მიხედვით ზრდის შედარებით მოკრძალებული ტემპია, 2015 წელი რეგიონის და განსაკუთრებით, საქართველოს ეკონომიკისთვის გამოწვევების წელი იყო. საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა იქონია როგორც შიდა ეკონომიკურმა გამოწვევებმა, ასევე მებოზელი ქვეყნების რეგიონულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, განსაკუთრებით, რუსეთ-უკრაინის ომმა. ქართული ლარის 40%-იანი გაუფასურება (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2014),<sup>2</sup> რომელიც 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო და 2015 წელს გაგრძელდა, უდიდესი შოკი იყო როგორც მსესხებლებისთვის ბიზნესში, ასევე სამომხმარებლო სექტორისთვის და გარე ფაქტორების შედეგად გამოწვეული პრობლემები გამოავლინა, რომელთა წინაშეც საქართველოს მთავრობა იდგა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვის მიხედვით, ნატოში გაწევრიანება რიგით მე-14 პრიორიტეტია, რომელსაც რესპონდენტთა 6% ასახელებს. მართალია, ნატოში გაწევრიანებას 69% უჭერს მხარს, მაგრამ საზოგადოებას არა აქვს მკაფიოდ გააზრებული და აღქმული პირდაპირი თუ ირიბი (თუმცა, მყარი) კორელაცია წევრობასა და ყველა ზემოაღნიშნულ ეროვნულ პრიორიტეტულ საკითხს შორის. ამიტომ, რაციონალური იქნება დავუშვათ, რომ ასეთ ვითარებაში და მებოზელი ქვეყნების მიმართ რუსეთის რიტორიკის შეცვლის პირობებში, საქართველოში რუსეთის ექსპანსიონისტური სტრატეგიების გაცოცხლების მზარდი რისკი არსებობს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოფიციალურმა თბილისმა განაცხადა, რომ მისი მიზანი მოსკოვთან დაძაბულობის განმუხტვაა ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ურთიერთობების ნორმალიზების გზით.

---

2 საქართველოს ეროვნული ბანკი 2016. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკის ცვლილების შედეგები უკვე თვალნათელია და გამოიხატება საქართველოს ბიზნეს სექტორის პოლიტიზირებულ რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების ზრდის და პრო-რუსული პოლიტიკური პარტიების მომრავლების, ასევე, საქართველოს მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში რუსული სენტიმენტების გაჩენის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ რაც საქართველომ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში მოაწერა ხელი ევროკავშირთან თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებას, საქართველოს ექსპორტში მაინც დსთ-ის ქვეყნები დომინირებენ - მთლიანი ექსპორტის 30% ამ ქვეყნებზე მოდის (საქსტატი, 2016).<sup>3</sup> ამის ახსნა სავაჭრო ბარიერებით შეიძლება, რომელთა წინაშეც, ევროკავშირის ბაზრის სტანდარტების სახით, ქართველი მწარმოებლები დგანან; შესაბამისად, გასაგებია, რატომ არის დსთ-ის ქვეყნები კვლავ პრიორიტეტული ქართველი მწარმოებლებისთვის. ეკონომიკის განვითარებისთვის საქართველოს მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს მოსკოვთან ურთიერთობების ნორმალიზებისათვის. შედეგად, 2013 წლიდან მოსკოვმა გააუქმა ემბარგო ქართულ პროდუქტებზე, რის შედეგადაც რუსეთის ბაზარზე ექსპორტი 2012 წლის 2%-დან 2015 წელს 10%-მდე გაიზარდა.<sup>4</sup> რუსეთის პოლიტიზირებულ და მერყევ ბაზარზე საქართველოს კომერციული სექტორის ასეთმა გადაჭარბებულმა დამოკიდებულებამ შეიძლება საქართველო დაუცველი დატოვოს პოტენციური შოკების წინაშე, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსკოვმა თავისი ჰიბრიდული ომის რიტორიკა გააძლიერა რეგიონში.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2015 წლის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 61% მხარს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას უჭერს; თუმცა, საგანგაშო 31% კვლავ იხრება ისეთი ალტერნატივების ძიებისკენ, როგორც ევრაზიული კავშირია.<sup>5</sup> და მაინც, ორივე მხარის რესპონდენტთა უმეტესობას მიაჩნია, რომ მთავარი მოტივატორი ეკონომიკური სიკეთეებია.

---

3 საგარეო ვაჭრობის ტენდენციები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

4 Kapanadze, S. Georgia's Vulnerability to Russian Pressure Points. European Council on Foreign Relations. 2014.

5 ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, 2015. [www.ndi.org](http://www.ndi.org)

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ამ მხარდაჭერის არგუმენტებით გაძლიერება იმ ქვეყნებთან შედარებების გაკეთების გზით, რომლებიც უკვე გახდნენ ნატოს წევრები და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს ის ინდიკატორები, რომლებიც საქართველოს საზოგადოებისთვისაც არის მნიშვნელოვანი.

## „ნატოს ეფექტი“

ნატოს წევრობა უზრუნველყოფს უსაფრთხოების საბაზისო ჩარჩოს, რაც ფინანსური სტაბილურობის წყაროა, ხელს უწყობს სახელმწიფო ფინანსების ეფექტურ ხარჯვას, ეკონომიკის ზრდას და ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების სტიმულირებას.


ეს ანალიტიკური ნაშრომი ფოკუსირებულია შემდეგ ქვეყნებზე:

ქვეყანა	მოსახლეობა (მლნ)	მშპ € (მლრდ)	ევროკავშირის წევრობის სტატუსი	შენგენის ზონის წევრობა	ნატოს წევრობის სტატუსი
ალბანეთი	2.9	13.1	კანდიდატის სტატუსი	დიახ	დიახ
ბულგარეთი	7.1	44.1	1 იანვარი 2007	არა	დიახ
ესტონეთი	1.3	20.4	1 მაისი 2004	დიახ	დიახ
ლატვია	2.0	24.4	1 მაისი 2004	დიახ	დიახ
ლიტვა	2.9	37.1	1 მაისი 2004	დიახ	დიახ
სლოვენია	2.1	38.5	1 მაისი 2004	დიახ	დიახ

როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს, ესტონეთისა და

ლატვიის, ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად დაჩქარდა 2004 წელს ნატოში გაწევრიანების შემდეგ. 2005 წლისთვის ესტონეთის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 6.5%-დან 9.5%-მდე, ხოლო ლატვიის მშპ 8.7%-დან 10.6%-მდე გაიზარდა.

გრაფიკი 1: მშპ-ის ზრდის წლიური ტემპი, %




წყარო: მსოფლიო ბანკი

ადგილობრივი ეკონომიკის სტაბილიზების გარდა, ნატოს წევრობა უცხოური ინვესტიციების სტიმულირებასაც ახდენს. ამის დასტურია ესტონეთი, სადაც, ნატოში გაწევრიანების შემდეგ, უცხოური ინვესტიციები სამჯერ და მეტად გაიზარდა - 965.8 მილიონი აშშ დოლარიდან 3.1 მილიარდ აშშ დოლარამდე. ანალოგიური ტენდენცია აღინიშნა ალბანეთში, ბულგარეთში, ლატვიასა და ლიტვაში. ყველა ამ ქვეყანაში უცხოურმა ინვესტიციებმა საგრძნობლად მოიმატა, რომელთა დონეც, ეკონომიკური კრიზისით მიყენებული მძიმე

დარტყმის მიუხედავად, მაინც მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა 2000 წელთან შედარებით. სლოვენის შემთხვევაშიც კი, მისი არასტაბილური განვითარების გზის მიუხედავად, უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე გაიზარდა, ხოლო 2014 წელს უცხოური ინვესტიციების დონე, წინა წლებთან შედარებით, საკმაოდ მაღალი იყო. ასეთი ტენდენცია პოლიტიკური სტაბილურობის და სამხედრო უსაფრთხოების პროდუქტად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც ნატოს წევრობას მოაქვს, რადგან ნატოს წევრობა უცხოური ინვესტორებისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური არაპროგნოზირებადობის მინიმიზების ერთ-ერთი გარანტიაა და ამ ბაზრებზე ინვესტორების წარმატების პოტენციალს ზრდის.


გრაფიკი 2: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წმინდა ნაკადი (მიმდინარე საგადასმდელო ბალანსი, აშშ დოლარი)



წყარო: მსოფლიო ბანკი

მართალია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის სტიმულირების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევა, მაგრამ უცხოური დახმარების მნიშვნელობა, რომელსაც ასპირანტ ქვეყნებს განვითარების ხელშესაწყობად უწევენ, სათანადო შეფასებას იმსახურებს. დიდი ხანია, რაც განვითარებისთვის დახმარება ქვეყნის სიღარიბიდან თავის დაღწევის და გრძელვადიანი ეკონომიკური წინსვლის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ინსტრუმენტად არის აღიარებული, რადგან მისი მეშვეობით ინვესტიციების დაბანდება მრავალ სექტორში ხდება - განათლებიდან დაწყებული თავდაცვით დასრულებული. 2000 წლის შემდეგ, პარტნიორ თუ ასპირანტ ქვეყნებში ევრო-ატლანტიკური ჩართულობის ეფექტი ადვილი შესამჩნევია.


გრაფიკი 3: მიღებული წმინდა ოფიციალური დახმარება განვითარების ხელშესაწყობად, მილიარდი აშშ დოლარი



წყარო: მსოფლიო ბანკი

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ეფექტები ყველაზე კარგად ჩანს ადამიანის განვითარების ინდექსის მონაცემების განალიზებისას. ადამიანის განვითარების ინდექსი ასახავს სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლების და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დინამიკას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ძალას არ იშურებდნენ ადამიანის განვითარების ინდექსის გასაუმჯობესებლად, რის შეფასებასაც ისეთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარების გზით აკეთებდნენ, როგორც არის გერმანია და დანია. გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშების თანახმად, იმ ქვეყნებში, რომლებიც 2004-2007 წლების ევროკავშირის და ნატოს გაფართოების სტრატეგიების ნაწილს წარმოადგენდნენ და მათში მოგვიანებით გაერთიანდნენ, განვითარების გაცილებით დაბალი მაჩვენებელი იყო, ვიდრე ამ გაერთიანებების დიდი ხნის წევრ ქვეყნებში - გერმანიასა (0.83) და დანიაში (0.88). თუმცა ეს ანგარიშები განვითარების მაჩვენებლის სტაბილურ მატებას 1995 წლიდან არჩვენებს, რაც ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში შეტანილი წვლილის და განვერიანების შემდეგ მიღებული სარგებლის ერთობლივი შედეგია.

გრაფიკი 4: ადამიანის განვითარების ინდექსი



წყარო: გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიში



შედარებისთვის ორივე შემთხვევა გამოდგება, რადგან საქართველოში დღეს ხელმისაწვდომია ევროკავშირთან ინტეგრირების ისეთი ინსტრუმენტები (ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, პოტენციური უვიზო რეჟიმი), რომლებიც არცერთ შემთხვევაში ქვეყანას ნატოში გაწევრიანებამდე არ ჰქონია, და მიმდინარეობს ნატოში ინტეგრირების პროცესი, რომელიც ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეს 2004 წელს იყო. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ, შესაბამისად, ნატოს ფოკუსის მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია - ნატოც და ევროკავშირიც საკუთარი პოლიტიკების გადახედვას აგრესიის შეკავებისა და მოკავშირეების დასაცავად კოლექტიური თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაძლიერებაზე ფოკუსით ახორციელებს.

ახლა, როგორც არასდროს „დასავლურ სამყაროს“ ესმის ის რისკები, რომლებსაც რუსეთის აგრესიული პოლიტიკა დემოკრატიულ იდეოლოგიებს უქმნის და აქვს კოლექტიური თავდაცვის ისეთი უმსხვილესი შენაერთები, როგორიც ცივი ომის შემდეგ არ ჰყოლია. ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, „ადაპტაციის პროცესი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ნატოს თავდაცვითი პოზიციის ძალიან დიდი და ძირეული ადაპტაციაა.“

გარდა ამისა, რუსეთის ექსპანსიონისტური გეგმების შესაკავებლად, ნატო აფართოებს თანამშრომლობას ასპირანტ ქვეყნებთან, აძლიერებს კავშირებს სტრატეგიული ნარატივების უზრუნველყოფის გზით, რათა ხელი შეუწყოს ალიანსში მათი ინტეგრირების პროცესს. ამ ბოლოდროინდელმა პოლიტიკამ შეიძლება უდიდესი სტრატეგიული ეფექტი იქონიოს კანდიდატ ქვეყნებზე, როგორც პოლიტიკური სტაბილურობის, ისე სამხედრო უსაფრთხოების კუთხით.

კანდიდატი ქვეყნების, კერძოდ კი, საქართველოს მიმართ ნატოს სტრატეგიის ცვლილება შეიძლება იმ გადაწყვეტილებების კონტექსტში განიხილებოდეს, რომლებიც ნატოს ლიდერებმა 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიიღეს - „საქართველო გახდება ნატოს წევრი, როდესაც ის ყველა საჭირო მოთხოვნას დააკმაყოფილებს.“

თუმცა, ამ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი მხოლოდ ცოტა ხნის წინ ჩატარებული უელსის სამიტის შემდეგ გადაიდგა, სადაც

საქართველომ ნატო-საქართველოს თანამშრომლობის არსებითი პაკეტი მიიღო, რაც სხვადასხვა ღონიძიებას მოიცავს, რომლებიც გამიზნულია ინტეგრაციის პროცესის სტიმულირებისა და საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტანდარტების ნატოს სტანდარტებთან დაახლოების უზრუნველსაყოფად. საქართველოს მთავრობის მიერ ამბიციური რეფორმების თანმიმდევრულად განხორციელების და 2008 წლის სამიტის შემდეგ ნატო-საქართველოს კომისიის და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ეფექტიანი გამოყენების, ასევე, ავღანეთში ნატოს სამშვიდობო მისიაში საქართველოს სამხედრო წვლილის გამო, ბატონმა სტოლტენბერგმა ქვეყანას „რეგიონსა და მის მიღმა სამაგალითო“ უწოდა, რითიც მკაფიოდ მიანიშნა, რომ ალიანსი მზად არის პაკეტის ახალ ეტაპზე გადასაყვანად.

გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა, საქართველოს ოფიციალურ პირებთან ერთად, ნატო-საქართველოს ვრცელი პაკეტის ფარგლებში ახალი ნატო-საქართველოს წვრთნის და შეფასების ერთობლივი ცენტრი დააარსა კრწანისის სამხედრო ბაზაზე. წვრთნის და შეფასების ერთობლივი ცენტრი საქართველოში ნატოს ყოფნის ყველაზე მკაფიო მანიფესტაციაა. მისი მიზანია, დაეხმაროს თბილისს თავდაცვის და უსაფრთხოების სტანდარტების რეფორმირებაში, მოდერნიზებასა და გაძლიერებაში ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებისთვის მოკავშირე და ასპირანტი ქვეყნების სამხედრო დანაყოფებისთვის წვრთნების და სერტიფიცირების ჩატარების გზით.

2016 წელს, ნატოს სამიტზე ვარშავაში, მოკავშირეებმა ხელახლა დაადასტურეს, რომ „საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან მოიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს ქვეყნის საბოლოო გაწევრიანების მოსამზადებლად.“

ასეთი ნარატივები აძლიერებს საქართველოს სამხედრო ძალების შესაბამისობას. ეს კი ხელს უწყობს რეგიონში სტაბილურობის დამყარებას, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს მსგავსი პატარა განვითარებადი ქვეყნისთვის, რომელიც შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონის მჭიდროდ დასახლებულ გეოპოლიტიკურ რეგიონში მდებარეობს და დაუცველია რუსეთის ჰიბრიდული ომის პოლიტიკის მუდმივი გარე საფრთხეების წინაშე.

ამიტომ, პოტენციური „ნატოს ეფექტი“ ან უფრო ზოგადად, „ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ეფექტი“ საქართველოს შემთხვევაში შეიძლება იყოს უფრო ხელშესახები პროცესი თუ გართულების გარეშე წარიმართება და წარმატებით დასრულდება.

გარდა ამისა, ჩრდილოეთის-ბალტიის ქვეყნების თანამშრომლობის მსგავსი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია შავი ზღვის რეგიონის ნატოს წევრ ქვეყნებთან მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა იქნეს განხილული; ეს უშუალო სარგებელს მოუტანს როგორც საქართველოს ეკონომიკას და მის მოქალაქეებს, ასევე ევრო-ატლანტიკური ოჯახის წევრ ქვეყნებსაც.


ღია და თავისუფალ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს პირდაპირი კორელაცია განათლებაში, კვლევაში და განვითარებაში დაბანდებული ინვესტიციების (კერძო თუ სახელმწიფო) წილსა და სამუშაო ადგილების შექმნას, ინვესტიციების ზრდას შორის, რაც დროთა განმავლობაში დასაქმების და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში აისახება.

ამ ანალიტიკურ დოკუმენტში ვცდილობთ, დავადგინოთ „ნატოს ეფექტი“ ამ ინდიკატორებზე და განვსაზღვროთ მისი სავარაუდო გავლენა საქართველოზე.

## განათლება

ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზამ ხაზი გაუსვა განათლებული და კომპეტენტური სამუშაო ძალის განვითარების მნიშვნელობას, რაც საჭიროა კანდიდატი ქვეყნების მიძღვრულ, მდგრადი და დაბალანსებული ზრდის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, ნატოს ახალმა წევრმა ქვეყნებმა, რომლებსაც კოლექტიური უსაფრთხოების გარანტია აქვთ, შეძლეს განათლებაზე ხარჯების გაზრდა.

გრაფიკი 5: სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე, მშპ-ის %




წყარო: მსოფლიო ბანკი

რამდენიმე წლის განმავლობაში განათლებაში ინვესტიციების მზარდმა დაბანდებამ ნატოს ახალ წევრ ქვეყნებში შედარებით იაფი და განათლებული სამუშაო ძალა შექმნა და შესაბამისად, კვლევისა და განვითარებაში და ახალ ტექნოლოგიებში შემდგომი ინვესტირების პოტენციური გაზარდა. კვლევისა და განვითარებაში ინვესტირების პოტენციური ოპტიმალური დონის გაზრდის მიმართულებით ხელისუფლების მთავარი მიზანი უნდა იყოს არსებული პოლიტიკის გადასინჯვა სამეწარმეო ინიციატივების სოციალური უკუკავშირების განაკვეთთან შესაბამისობაში მოყვანის გზით (გრიფითი, 2000).

ეს ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, ვინაიდან მათ შეუძლიათ კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის ინიციატივების შემოთავაზება ისეთი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებისთვის, სადაც შესაძლებელი იქნება

ადგილობრივ სოციალურ კონტექსტში გამოყენებადი ინოვაციური უნარების გრძელვადიანი შენარჩუნება და შესაბამისად, კომპეტენციების შექმნა ადგილობრივი ეკონომიკის მოთხოვნებზე მორგებული ტექნოლოგიების მშენებლობისთვის. ამ მხრივ განვითარებადი ქვეყნები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არიან სუსტი ინსტიტუციური ჩარჩოებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის, ასევე არაადეკვატური ფიზიკური ინფრასტრუქტურის გამო. ეს არის გამონკვევა, რომელიც ინოვაციურ პროცესს და ჯანსაღი კონკურენტული ეკონომიკის განვითარებას ანელებს.


გრაფიკი 6: ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე, მშპ-ის %



წყარო: მსოფლიო ბანკი

„ევროკომისიის ამოცანას წარმოადგენს ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება და მეტი ადამიანის წახალისება, გახდეს მენარმე, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და გააუმჯობესოს ევროპის ეკონომიკა.“ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე გამოსახულია საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარების ტენდენცია 2003 წლიდან, სადაც მკაფიოდ ჩანს ბიზნესის დაწყების პროცედურების თანმიმდევრული შემცირება 12-დან 6 პროცედურამდე.

გრაფიკი 7: ბიზნესის რეგისტრირებისთვის საჭირო პროცედურების რაოდენობა




წყარო: მსოფლიო ბანკი

მეორე მხრივ, შეინიშნება ახალი ბიზნესის რეგისტრირებისთვის საჭირო დროის შემცირების ტენდენცია. ევროკავშირის რეგულაციების თანახმად, წევრმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ ევროკავშირის სტანდარტი, რომელიც ბიზნესის რეგისტრაციის ვადას 3 დღით განსაზღვრავს. 2004 წლის შემდეგ, ევროკავშირის ახალმა წევრმა ქვეყნებმა

ლიბერალიზებული საკანონმდებლო მოთხოვნების შემუშავება დაიწყო, რაც ითვალისწინებს ბიზნესის რეგისტრირებას ნაკლები პროცედურების გავლით.


გრაფიკი 8: ბიზნესის რეგისტრირებისთვის საჭირო დრო



წყარო: მსოფლიო ბანკი


განათლებაში, კვლევასა და განვითარებაში ინვესტირების შესაძლებლობის, ასევე, ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივის შედეგად გაიზარდა რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა და მრავალფეროვნება, რაც ხელს უწყობს ევრო-ატლანტიკური თანამეგობრობის საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობას. მოქალაქეთა და ბიზნეს აქტივობის პროდუქტიულობის ზოგად ზრდას მოსდევს უფრო ჯანსაღი კონკურენტული ეკონომიკის განვითარება, რომელიც თვითკმარია და ჩართულია გლობალურ გამოწვევებშიც. ამიტომ, განვითარებადი ქვეყნებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განათლებაზე ხარჯების გაზრდა, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია უმუშევრობის დონის და სოციალური ხარჯების შემცირებასთან და მოქალაქეთა საერთო შემოსავლის ზრდასთან, რაც ხელს უწყობს კაპიტალის გაზრდას ეკონომიკაში

გრაფიკი 9: რეგისტრირებული ახალი ბიზნესების რაოდენობა



წყარო: მსოფლიო ბანკი

გრაფიკი 10: განაცხადები პატენტის მიღებაზე



წყარო: მსოფლიო ბანკი




გრაფიკი 10 ასახავს 2000 წლიდან პატენტების მიღებაზე განაცხადების მატებას შესაბამის ქვეყნებში. ლატვიასა და ბულგარეთში ყველაზე მეტი განაცხადი იქნა წარდგენილი პატენტის მოპოვებაზე, რომელთა რაოდენობაც, 2011 წლამდე, 200-300-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო 2011-ში ლატვიაში ბიზნეს-აპლიკაციების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და 470-ს მიაღწია.

ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები ეკონომიკურ დინამიკაში გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ევრო-ატლანტიკურ თანამეგობრობაში, განსაკუთრებით კი, ნატოში ინტეგრაციამ მიგვიყვანოს უმუშევრობის დონის მნიშვნელოვან კლებასთან და ეკონომიკური აქტივობისა და მენარმეობის დონის ზრდასთან, რაც ნიადაგს ქმნის განვითარებულ ეკონომიკად გადაქცევისთვის.


## დასაქმება

გრაფიკი 11: უმუშევრობა



წყარო: მსოფლიო ბანკი

გრაფიკი 12: გრძელვადიანი უმუშევრობა



წყარო: მსოფლიო ბანკი


ზემოთ მოცემული გრაფიკების ანალიზი აჩვენებს გრძელვადიანი უმუშევრობის მნიშვნელოვან კლებას 2004-2008 წლებში; ეს, ძირითადად, გამოიწვია ამ ქვეყნების პოლიტიკების შეცვლამ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით, რამაც გაზარდა მათი ვალდებულება, განსაკუთრებით, ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების კუთხით. ეს სასიკეთო ცვლილებები უმეტესწილად ინტელექტუალური სამუშაო ძალის ფორმირების და მუშახელზე საერთო მოთხოვნის ზრდის შედეგია, რაც ამ ქვეყნებში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია. თუმცა, უმუშევრობის კლების ტენდენცია აღინიშნებოდა 2008 წლის გლობალურ ეკონომიკურ კრიზისამდე, რომელიც ამ ქვეყნებს 2009 წელს შეეხო და რომლის დაძლევისაც 2 წელი დასჭირდა.

ეკონომიკის გლობალიზაციის ზრდის გამო, რასაც თან ახლავს ნატოს ახალი წევრი ქვეყნების (დიდი თუ პატარა) შემოსვლა, არსებობს იმის

მზარდი შესაძლებლობა, რომ წვერი ქვეყნები, სხვადასხვა ხარისხით, დაუცველები დარჩნენ გლობალური ან რეგიონული ტენდენციების წინაშე და დამოკიდებული გახდნენ მათზე; თუმცა ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნულმა ქვეყნებმა უკვე შეძლეს ინვესტიციების განათლებაში, კვლევაში, განვითარებასა და ტექნოლოგიებში გაზრდა - და შესაბამისად, ეკონომიკის დივერსიფიცირება - მათ უფრო გამძლეს ხდის საგარეო და საშინაო შოკების მიმართ.

ჯანსაღი და კონკურენტული ეკონომიკის ფორმირება შეიძლება გახდეს მოქალაქეთა ცხოვრების საერთო ხარისხის და შემოსავლის თანაბარი განაწილების გრძელვადიანი მდგარდი (მუდმივი) გაუმჯობესების წყარო. გარდა ამისა, უმუშევრობის დაბალი დონე საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია, რადგან დაბალი უმუშევრობა ქვეყანაში მოქალაქეთა მაღალი მსყიდველობითი უნარის შედეგია, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეიძინონ მაღალი ხარისხის პროდუქტები,, საკვები და ჯანდაცვის სერვისები.

გრაფიკი 13: ინფლაცია




წყარო: მსოფლიო ბანკი

რაც შეეხება ინფლაციას, როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო კონტროლირებადი და საშუალოდ 3.43%-ს შეადგენდა. ერთადერთი კრიტიკული მომენტი იყო 2008/2009 წლების ეკონომიკური კრიზისი, როდესაც ამ ნაშრომში გაანალიზებულ ყველა ქვეყანაში ინფლაციამ მოიმატა.

## ჯანდაცვა


გრაფიკი 14: ხარჯები საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, მთლიანი ჯანდაცვის ხარჯების %



წყარო: მსოფლიო ბანკი

საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაწეული ზემოთ წარმოდგენილი ხარჯების დიაგრამის გაანალიზების შემდეგ ნათელია, რომ ამ ქვეყნებში, ალბანეთის გარდა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა პრიორიტეტია ინვესტირებისთვის; ასეთი მიდგომის შედეგები შემდეგ ინდიკატორებზე აისახება:

გრაფიკი 15: სიცოცხლის ხანგრძლივობა




წყარო: მსოფლიო ბანკი

ვინაიდან განათლების ხარისხის მატებას და უმუშევრობის დონის კლებას უფრო მაღალი ხელფასებისკენ მივყავართ, ზემოაღნიშნული ტენდენციები სიცოცხლის ხანგრძლივობის მარცხენა გარეკანის გაუმჯობესების საფუძველს ქმნის, რადგან მოქალაქეებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა უზრუნველყოფს. ამრიგად, მოქალაქეთა საერთო შემოსავალსა და ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას შორის ძლიერი კორელაცია არსებობს. მართალია, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმჯობესების ეფექტი მოკლევადიან პერსპექტივაში არ

ჩანს, მაგრამ ჯანდაცვის სისტემაში ინვესტიციების ზრდის, ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერების და რესურსების ოპტიმალური ადმინისტრირების გრძელვადიანი შედეგი არის უფრო ჯანმრთელი მოსახლეობა, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტია და რომელიც უფრო აქტიურ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში; ეს კი ქვეყნის სოციალურ ტვირთს ამსუბუქებს.


ბემოაღნიშნული ჯანსაღი ტენდენციები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას ქვეყანაში და ხელისუფლების უნარს , უფრო მიზნობრივად და ეფექტიანად დახარჯოს სახსრები.

გრაფიკი 16: შემოსავლის უთანასწორობა ჯინის კოეფიციენტის მიხედვით



წყარო: მსოფლიო ბანკი


გრაფიკი 17: სუბსიდიები და სხვა ტრანსფერები



წყარო: მსოფლიო ბანკი

ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური ტენდენციების და კოლექტიური უსაფრთხოებით გარანტირებული ზოგადი უსაფრთხოების ერთობლიობა მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს, მათ ალბათობას და მინიმუმამდე დაჰყავს ამ რისკების პოტენციური შედეგი. ამის ნათელი დადასტურებაა კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი კლება გაანალიზებულ ქვეყნებში.

გრაფიკი 18: კრედიტზე საპროცენტო განაკვეთები



წყარო: მსოფლიო ბანკი

დაბალი საპროცენტო განაკვეთები ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას, ზრდას და დივერსიფიკაციას უწყობს ხელს, ასევე შიდა თუ გარე შოკების მიმართ ეკონომიკას უფრო მდგრადს ხდის.


რეგიონული ინტეგრაცია

კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიები მყარ საფუძველს ქმნის უფრო მჭიდრო რეგიონული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციისთვის, ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და გამძლეობისთვის. ინტეგრაცია, მონაწილე ქვეყნებს შორის ლიბერალიზებული ეკონომიკის და პოლიტიკური




სტრატეგიების განვითარების გზით ეკონომიკური კეთილდღეობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის წყაროა რეგიონში. ქვემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს, თუ როგორ იმოქმედა ევრო-ატლანტიკურმა ინტეგრაციამ ექსპორტსა და იმპორტზე გაანალიზებულ ქვეყნებში 2000-2012 წლებში. თვალნათელია, რომ გაანალიზებული ქვეყნების ვაჭრობა ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან 2000 წლის შემდეგ გაიზარდა, მცირედი კლება განიცადა 2008 წელს ეკონომიკური კრიზისის გამო, მაგრამ მალევე დაუბრუნდა ზრდის ტენდენციას და მშპ-ის თითქმის 20% შეადგინა ბულგარეთში, ლიტვასა და სლოვენიაში როგორც ექსპორტის, ისევე იმპორტის თვალსაზრისით.

გრაფიკი 19: ექსპორტი ევროპასა და ცენტრალურ აზიაში



წყარო: მსოფლიო ბანკი

გრაფიკი 20: იმპორტი ევროპიდან და ცენტრალურ აზიიდან




წყარო: მსოფლიო ბანკი

შემდეგ გრაფიკში მოცემულია შესაბამისი ქვეყნების მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს სავაჭრო ბალანსი და შესაბამისად, ეკონომიკის მდგომარეობა. გამომდინარე იქიდან, რომ ექსპორტის მოცულობა ასახავს მოთხოვნას ადგილობრივ პროდუქტებზე, ხოლო იმპორტი იმ საქონლის მიწოდებას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არის საჭირო, შეიძლება ითქვას, რომ საგადაამხდელი ბალანსი მნიშვნელოვნად არის

დამოკიდებული მდგრადობის დონეზე და ეკონომიკის განვითარების ფაზაზე. შემდეგი ინდიკატორების ისევე, როგორც ზემოთ მოცემული ექსპორტ-იმპორტის მონაცემების გაანალიზების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ განხილულ ქვეყნებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მზარდი ტენდენცია აღინიშნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ქვეყნები იმპორტზე დამოკიდებული ეკონომიკებს წარმოადგენდნენ რაც ბუნებრივი მოვლენაა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკებისთვის, რადგან მათი ხარჯები მაღალია, ხოლო დანაზოგი - მცირე. მიუხედავად ამისა, 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, გაანალიზებულ ქვეყნებში იმპორტის მკვეთრი კლება აღინიშნება, რაც ეკონომიკებს შესაძლებლობას აძლევს ეს იმპორტი ჩაანაცვლონ ეკონომიკის გაკანსაღების პროცესის სტიმულირებით და ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგინონ თანაფარდობა.


გრაფიკი 21: მიმდინარე ანგარიშის საგადასხდელო ბალანსი (აშშ დოლარი)



წყარო: მსოფლიო ბანკი

გარდა ამისა, 2000 წლის შემდეგ, ამ ქვეყნებში, დამატებითი კაპიტალის შედინებით, სტაბილურად იზრდებოდა დანახარჯები ტურიზმზე, რაც ეკონომიკის ზოგად განვითარებას უწყობს ხელს. ასეთი ტენდენცია ნატოს წევრობით მიღებული პოლიტიკური სტაბილურობის და უსაფრთხოების და ასევე ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების, კერძოდ, ახალი ბიზნესებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგია.


გრაფიკი 22: დანახარჯები საერთაშორისო ტურიზმზე



წყარო: მსოფლიო ბანკი

## ინსტიტუტები

გრაფიკი 23: კორუფციის აღქმის ინდექსი




წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა

აუცილებელია გავანალიზოთ იმ ქვეყნების ინსტიტუტებიც, რომლებმაც ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზა აირჩიეს. ამისათვის უნდა ვნახოთ კორუფციის აღქმის ინდექსის გრძელვადიანი დინამიკა ამ ქვეყნებში, რადგან სწორედ ეს დინამიკა გვიჩვენებს ამ ქვეყნების ინსტიტუტების ევოლუციას კორუფციის დამარცხების პერსპექტივიდან. წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის გაანალიზებული იქნა 2001-2011 წლების მონაცემები. 2011 წლის შემდგომი პერიოდი არ იქნა გაანალიზებული იმიტომ, რომ საერთაშორისო გამჭვირვალობამ შეფასების მეთოდოლოგია შეცვალა.

თუ ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ და იმასაც, რომ რაც უფრო მაღალია კორუფციის აღქმის ინდექსი, მით უფრო დაბალია კორუფციის აღქმის დონე. შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემული გრაფიკი ამ ქვეყნებში რაიმე მკაფიო და მდგრად ტენდენციას ვერ გვაჩვენებს.

მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდისა და კორუფციასთან ბრძოლისთვის ზომები იქნა მიღებული ევრო-ატლანტიკური ჩარჩოს ფარგლებში: ნატოს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამალღების პროგრამა და ევროპის საბჭოს ქვეყნების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ.


გრაფიკი 24: კორუფციის კონტროლის ინდექსი



წყარო: მსოფლიო ბანკი

სლოვენის გარდა, სხვა ქვეყნებში კორუფციის კლების ტენდენცია ჩანს. საინტერესოა, რომ ეს ქვეყნები არა მარტო შიდა ურთიერთობებში გახდა ნაკლებად კორუმპირებული, არამედ დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობებშიც, რაც კორუფციის კონტროლის ინდექსის რეიტინგებიდან ჩანს.

გრაფიკი 25: კანონის უზენაესობა




წყარო: მსოფლიო ბანკი

სხვა ინდიკატორები, რომლებიც ამ ქვეყნების ინსტიტუტების ფუნქციონირების ისეთივე საზომებია, როგორებიც კორუფციის აღქმის ინდექსი და კორუფციის კონტროლის ინდექსია, სახელმწიფოს ეფექტიანობის კუთხით გარკვეულ პროგრესს აჩვენებს დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით. თუმცა ეს პროგრესი არ არის ყოვლისმომცველი და მდგრადი.

კანონის უზენაესობის ინდექსი, რომელიც მიზნად ისახავს მოსახელობის ნდობის და კანონმორჩილების შეფასებას, მკაფიოდ არეგენებს ამ ქვეყნების მდგრად პროგრესს ან მათ მიერ მაღალი რეიტინგის შენარჩუნებას.

იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფოს უნარზე, შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს წარმატებული კერძო სექტორის არსებობას, რაც ქვემოთ წარმოდგენილი რეგულირების ხარისხის ინდექსის გრაფიკიდან ჩანს.


გრაფიკი 26: რეგულირების ხარისხი



წყარო: მსოფლიო ბანკი




გრაფიკი 27: მთავრობის ეფექტიანობის ინდექსი



წყარო: მსოფლიო ბანკი

დამატებით უნდა აღინიშნოს მთავრობის ეფექტურობის თვალსაზრისით არსებული პოზიტიური ტენდენცია, რომელიც ამ კვლევის მიზნებისათვის განისაზღვრება როგორც „საჯარო სერვისების ხარისხის, საჯარო სამსახურის და პოლიტიკური ზეწოლისგან მისი დამოუკიდებლობის ხარისხის, პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების ხარისხის და ასეთი პოლიტიკის მიმართ ხელისუფლების ერთგულებისადმი ნდობის აღქმა“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაანალიზებული 6 ქვეყნიდან 4 ქვეყანა, 2014 წელს, პროცენტის ზედა მეოთხედში იყო, ხოლო დანარჩენ 2 ქვეყანაში რეიტინგის მდგრადი გაუმჯობესება აღინიშნებოდა.


გრაფიკი 28: ხმის და ანგარიშვალდებულების ინდექსი



წყარო: მსოფლიო ბანკი

ხმის და ანგარიშვალდებულების ინდექსის თვალსაზრისით, რომლითაც იზომება „ქვეყნის მოქალაქეთა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ხელისუფლების არჩევაში, ასევე სიტყვის, შეკრების და მედიის თავისუფლება“, პროგრესი არც თუ ყოველმომცველია, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ქვეყნები ან იუმჯობესებენ რეიტინგს ან უკვე კარგ პოზიციებზე არიან; გამონაკლისი ბულგარეთია, რომლის რეიტინგიც უცვლელად საშუალო პოზიციაზეა.

გრაფიკი 29: პოლიტიკური სტაბილურობის და ძალადობის/ტერორიზმის არარსებობის ინდექსი



წყარო: მსოფლიო ბანკი

პოლიტიკური სტაბილურობის და ძალადობის/ტერორიზმის არარსებობის ინდექსი, რომლითაც იზომება „პოლიტიკური არასტაბილურობის და/ან პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის, მათ შორის, ტერორიზმის სავარაუდო არსებობის აღქმა“, არ აჩვენებს რაიმე ტენდენციას ამ ქვეყნებში. ალბანეთში ამ ინდექსის თანმიმდევრული, ხოლო ლიტვაში ნაკლებ თანმიმდევრული გაუმჯობესება აღინიშნება. ბულგარეთსა და ლატვიაში ეს მონაცემი საკმაოდ მერყევია, ხოლო ესტონეთს მყარად უკავია საშუალო ბლოკში წამყვანი პოზიცია. სლოვენიაც ჯერ კიდევ კარგ რეიტინგს ინარჩუნებს, თუმცა ის მუდმივად უარესდება.

## დასკვნა

ნატოს ახალ წევრებს ნატოში გაწევრიანებამ ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის უფრო დიდი შესაძლებლობები მოუტანა. ნატოს და ევროკავშირის წევრობის უპირველესი ეფექტი ეკონომიკის გაძლიერება იყო, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების და ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობას უზრუნველყოფდა. სტაბილურობა, რომელიც ნატოში წევრობამ მოიტანა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ნატოს წევრობა ქვეყნის პოლიტიკურ სიძლიერეს და გარე შოკებისგან დაცულობას უზრუნველყოფდა, ნატოში ინტეგრირებამ გააძლიერა ქვეყნის ძალისხმევა, მიეღწია გრძელვადიანი კეთილდღეობისთვის.

„ნატოს ეფექტი“ შეიძლება გამოისახოს მარტივი მაგრამ ეფექტური ციკლის საშუალებით, რომელსაც რიგითი მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს:

გრაფიკი 30: „ნატოს ეფექტის“ შედეგები



„ნატოს ეფექტს“ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები მოაქვს:

1. მშპ - დაუყოვნებლივ გაიზარდა დაახლოებით 1.5-ჯერ;
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - გაიზარდა დაახლოებით 3-ჯერ;
3. უმუშევრობა - შემცირდა დაახლოებით 3-ჯერ;
4. სიცოცხლის ხანგრძლივობა - გაიზარდა საშუალოდ 5 წლით;
5. რეგიონული ინტეგრაცია - 2004 წლის შემდეგ ექსპორტი და იმპორტი გაორმაგდა, ხოლო დეფიციტმა თანაფარდობა აღიდგინა.

საქართველო ბევრად უფრო დიდი და რთული უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე დგას, ვიდრე ეს ქვეყნები იდგნენ ნატოში გაწევრიანებამდე; ამიტომ ამ საფრთხეების შემცირების შედეგად „ნატოს ეფექტის“ პოტენციური ეკონომიკაზე ბევრად უფრო დიდი იქნება.

საქართველოს მსგავსად, ყველა გაანალიზებული ქვეყანა პარალელურად ევროკავშირში ინტეგრაციის გზას მიუყვებოდა, რამაც ერთობლიობაში ძალიან პოზიტიური ეფექტი იქონია დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თვალსაზრისით; ამიტომ, სტრატეგიის დონეზე ნატოსა და ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი მიდგომა ჰოლისტიკური უნდა იყოს, რომლის თითოეულ ასპექტში, მათ შორის სტრატეგიულ კომუნიკაციაში, უნდა მოხდეს მჭიდრო კოორდინაცია.

შემდეგი დეტალურად შესასწავლი საკითხი არის „ნატოს ეფექტის“ განსხვავებები ქვეყნებს შორის, რომლებსაც განაპირობებს კარგი მმართველობა, ეკონომიკური რეფორმები, სასამართლო სისტემის რეფორმირება, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმირება და კორუფციასთან ბრძოლა.

ზოგადად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კარგი მმართველობა და ინსტიტუციონალიზებული დემოკრატია „ნატოს ეფექტს“ მაქსიმუმამდე გაზრდის, განსაკუთრებით, როდესაც ქვეყანა, ნატოში გაწევრიანებამდე, სრულად იყენებს დაახლოების პროცესის სიკეთეებს.

პოლიტიკის რეკომენდაციები:

1. სტრატეგია და მთავრობის ერთიანი გეგმა -აუცილებელია შემუშავდეს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამთავრობო სტრატეგიული გეგმა. ეს გეგმა უნდა მოიცავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და ორიენტირებს. გეგმაში ასახული უნდა იყოს ძლიერი კავშირი სამ ფუნდამენტალურ ელემენტს შორის: დემოკრატია, უსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარება. უნდა შეიქმნას ძლიერი საკანონმდებლო ბაზა და

ჰარმონიზებული და ინსტიტუციური მექანიზმები გადაწყვეტილების მიღების, ზედამხედველობის განხორციელებისა და ეფექტურობის შეფასების პროცესებისათვის.

2. სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკის მართვა - ერთიანი წარმატებული სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკის შესამუშავებლად საჭიროა ძლიერი ინსტიტუციონალური ჩართულობა და ყველა დაინტერესებულ მხარის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ზუსტად განსაზღვრა. ეს პოლიტიკა უნდა მოიცავდეს კომუნიკაციის კარგად გამიზნულ და კოორდინირებულ სტრატეგიას წარმატების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორებით, ასევე, მოქნილ ინსტიტუციონალიზებულ მექანიზმებს მისი გადასინჯვისთვის.
3. რესურსები - ინტეგრაციის უკვე მიმდინარე პროცესის „ნატოს ეფექტის“ მაქსიმალური გაზრდისთვის, ასევე ფაქტობრივი წევრობის პრაქტიკული სარგებლის და წევრობისშემდგომი ტრანსფორმაციისთვის, აუცილებელია ზემოთ ნახსენები პოლიტიკისთვის გამოიყოს დამატებითი ფინანსური რესურსები.
4. განათლება და ტრენინგი - გამჭვირვალობის გაზრდის გარდა უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების და დაინტერესებული მხარეების (სამოქალაქო საზოგადოება, მედია, კერძო სექტორი, სამეცნიერო წრეები) ჩართვა. ყველა ასეთ დაინტერესებულ მხარეს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული როლი და ფუნქცია ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში; ამიტომ, აუცილებელია დაინტერესებული მხარეების მთელ სპექტრში ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)  
ფალიაშვილის ქ. 85. მეთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.

☎ (995 32) 2 207 305

✉ [info@eprc.ge](mailto:info@eprc.ge)

@EPRC\_Georgia

**Economic Policy Research Center**

🌐 [www.eprc.ge](http://www.eprc.ge)